სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია:*

*სადისერტაციო საბჭოს N01-21 საოქმო გადაწყვეტილებით; 21.04.2021*
*სადისერტაციო საბჭოს N02-22 საოქმო გადაწყვეტილებით; 19.04.2022*
*სადისერტაციო საბჭოს N04-22 საოქმო გადაწყვეტილებით; 30.07.2022*
*სადისერტაციო საბჭოს N05-22 საოქმო გადაწყვეტილებით; 02.09.2022*
*სადისერტაციო საბჭოს N01-23 საოქმო გადაწყვეტილებით; 28.02.2023*
*სადისერტაციო საბჭოს N01-24 საოქმო გადაწყვეტილებით; 15.02.2024*
*სადისერტაციო საბჭოს N02-24 საოქმო გადაწყვეტილებით; 21.05.2024*
*სადისერტაციო საბჭოს N08-24 საოქმო გადაწყვეტილებით; 26.12.2024*
*სადისერტაციო საბჭოს N03-25 საოქმო გადაწყვეტილებით; 17.07.2025*
*სადისერტაციო საბჭოს N08-25 საოქმო გადაწყვეტილებით; 13.10.2025*
*სადისერტაციო საბჭოს N03-26 საოქმო გადაწყვეტილებით; 12.06.2026*

# დოქტორანტურის დებულება

თბილისი
2026

# შინაარსი


პ რ ე ა მ ბ უ ლ ა ..... 4

თავი I. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო ..... 4

მუხლი 1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო ..... 4

მუხლი 2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ..... 5

მუხლი 3. უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა ..... 5

თავი II. დოქტორანტურაში სწავლა ..... 6

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება ..... 6

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები ..... 6

მუხლი 6. გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები ..... 8

მუხლი 7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ..... 8

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ..... 8

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ..... 9

თავი III. სადოქტორო პროგრამა ..... 9

მუხლი 10. სადოქტორო პროგრამა და მისი მოცულობა ..... 9

მუხლი 11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ..... 10

თავი IV. სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის ხელმძღვანელი ..... 11

მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ..... 11

მუხლი 13. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ..... 11

მუხლი 14. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა დოქტორანტის მოთხოვნით ..... 13

თავი V. სადისერტაციო საქმის წარმოება ..... 13

მუხლი 15. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ..... 13

მუხლი 16. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა ..... 13

მუხლი 17. სამეცნიერო ხელმძღვანელის ანგარიში დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების თაობაზე ..... 13

თავი VI. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა ..... 14

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომი ..... 14

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა ..... 16

მუხლი 20. დისერტაციის წინასწარი რეცენზირება ..... 17

მუხლი 21. დისერტაციის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება ..... 19

მუხლი 22. სადისერტაციო კომისია ..... 20

მუხლი 23. სადისერტაციო კომისიის სხდომა ..... 20

მუხლი 24. დისერტაციის დაცვა ..... 21

მუხლი 25. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ..... 21

მუხლი 26. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ..... 23

მუხლი 27. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა ..... 23

მუხლი 28. სადისერტაციო საქმის არქივი ..... 23

თავი VII. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება ..... 24

მუხლი 29. საპატიო დოქტორის წოდება ..... 24

თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები ..... 24

მუხლი 30. დოქტორანტურის დებულების მოქმედება ..... 24

დანართი 1.1. ..... 25

დანართი 1.2. ..... 27

დანართი 1.3. ..... 32

დანართი 1.4. ..... 33

დანართი 1.5. ..... 34

## პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების მიზანია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებისა და წესის განსაზღვრა, სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი სტანდარტის დადგენა.

## თავი I. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო

### მუხლი 1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო

1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შედგება თითოეული ფაკულტეტიდან ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით არჩეული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისაგან. თითოეული ფაკულტეტის მიერ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში ასარჩევ წევრთა რაოდენობას ფაკულტეტებზე არსებული აფილირებული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, ფაკულტეტებთან კონსულტაციის გზით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით შეუწყდა სადისერტაციო საბჭოს წევრობა, ფაკულტეტი წარადგენს ახალ წევრს სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო:
ა) შეიმუშავებს შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ბ) ანიჭებს პირს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
გ) რექტორის წარდგინებით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;
დ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს სადისერტაციო საბჭოს მდივანს;
ე) ამტკიცებს ან სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, ცვლის სადისერტაციო ნაშრომის სათაურს;
ვ) აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის ან/და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის თაობაზე;
ზ) დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის დამატებით სემესტრ(ებ)ზე რეგისტრაციის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ;
თ) სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის რეცენზენტების დანიშვნის შესახებ;

ი) სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) დანიშვნის შესახებ;
კ) სადოქტორო პროგრამისა და სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, მიმართავს შუამდგომლობით უნივერსიტეტის რექტორს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;
ლ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს დოქტორანტურის დებულებას;
მ) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სემესტრში სულ ცოტა ორჯერ მაინც. სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით.
4. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ენიჭება საბჭოს თავმჯდომარის ხმას.
5. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია, მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

**მუხლი 2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე**

1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო.
3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
ბ) სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას;
გ) ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებსა და ოქმებს;
დ) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 3. უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა**

1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობასა და სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სადოქტორო სკოლა.
2. სადოქტორო სკოლა:
ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესის შესაბამისად;
ბ) აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
გ) უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას;

დ) მოიცავს სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს არქივსა და საქმისწარმოებას;
ე) კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
ვ) უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებგვერდზე, ასევე, მის მიწოდებას ყველა დაინტერესებული პირისთვის;
ზ) ამოწმებს სადოქტორო ნაშრომის ტექნიკურ გამართულობას (მათ შორის, ანტიპლაგიატის სისტემაში), ასევე, დოქტორანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას და ამზადებს შესაბამის დასკვნას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტი ვერ გაიტანს ნაშრომს ზეპირ დაცვაზე.
თ) სადისერტაციო საბჭოს მითითებით ასრულებს სხვა ფუნქციებს.
3. სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი წყვეტს სადოქტორო სკოლასთან და სადოქტორო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებს, თუკი მათი გადაწყვეტა არ შედის სადისერტაციო საბჭოს ან რომელიმე სხვა ორგანოსა თუ სტრუქტურის უფლებამოსილებაში. სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს განკარგულება.
4. სადოქტორო სკოლა ვალდებულია, დოქტორანტთან დაკავშირებული სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება აცნობოს დოქტორანტს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

## თავი II. დოქტორანტურაში სწავლა

### მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დადგენილ იქნეს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.
2. სადოქტორო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის კანდიდატი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგივე პირობები, რაც დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველისთვისაა დადგენილი.

### მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წარმოადგენს განცხადებას, სადოქტორო პროგრამის მითითებით (დანართი 1.1.). განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) კონკურსანტის რეზიუმე (CV);
ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ) საზღვარგარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, აღიარების დოკუმენტი;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

ე) ფოტოსურათი (3X4 სმ) და მისი ელექტრონული ვერსია;
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);
ზ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის/ენების შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, ირიცხება თუ არა პირი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში;
ი) დოქტორანტობის კანდიდატის მიერ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის რეკომენდაცია (შუამდგომლობა) და სადისერტაციო თემის საკუთარი ხედვა (კვლევის პროექტი), რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის საგნის აქტუალურობისა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას, ასევე, ნაშრომის სავარაუდო  სათაურს, მიახლოებით სტრუქტურასა და საორიენტაციო ბიბლიოგრაფიას;
კ) 2 სარეკომენდაციო წერილი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს აკადემიური, ხოლო მეორე - სამსახურებრივი;
ლ) ცნობა სამუშაო ადგილისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ;
მ) შესაბამის სფეროში წინარე პუბლიკაციების ასლები ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების შესახებ. სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმებს. პროგრამის სპეციფიკისა და საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის შესაძლებელია დაწესდეს დამატებითი მოთხოვნები.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით. უცხო ენის ცოდნის შეფასების, ასევე, შესაბამისი სერტიფიკატის აღიარების წესი განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით. საკვლევი თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადოქტორო მიმღები კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს კვლევისთვის აუცილებელი დამატებითი უცხო ენის ცოდნის დადასტურება.
4. უცხო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს შესაბამის უცხო ენაზე.
5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის

დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში, უნივერსიტეტს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 6. გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები**

1. კონკურსანტი, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დაიშვება გასაუბრებაზე.
2. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებაზე გადის მიმღებ დარგობრივ კომისიასთან.
3. კომისია კომპლექტდება სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის განკარგულებით, დარგობრივი სადისერტაციო კოლეგიის წევრებისგან განსხვავებული მიმართულებების მაქსიმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფით. კომისიის შემადგენლობა ფორმირდება მიღებისას გამოცხადებული მიმართულებების შესაბამისი წარმომადგენელთა ჩართულობით, შესაბამის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე.

**მუხლი 7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე დარგობრივი კომისია კანდიდატს აფასებს 100 ქულიანი სისტემით (დანართი 1.2.). შეფასების საბოლოო ქულა აღნიშნული ქულების საშუალო არითმეტიკული სიდიდეა, რის საფუძველზეც დარგობრივი კომისია კენჭისყრის გზით, ხმათა უმრავლესობით, უწევს რეკომენდაციას შერჩეულ კანდიდატებს.
2. შერჩეული კანდიდატების კვლევის თემატიკა და სახელწოდება შესაძლოა დაკორექტირდეს მიმღებ კომისიასთან გასაუბრებისას მათთან კონსულტაციის შედეგად. სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება მტკიცდება მიმღები კომისიის მიერ და აისახება მიმღების კომისიის ოქმში.
3. საბოლოო შედეგების შესაბამისად, სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი შუამდგომლობით მიმართავს რექტორს კონკურსანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. დოქტორანტურაზე ჩარიცხვის შედეგების გასაჩივრების ვადები და წესი განისაზღვრება დოქტორანტურაში „სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის ბრძანებით.
4. კონკურსანტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებით ინიშნება დოქტორანტის ხელმძღვანელი ან/და თანახელმძღვანელები.
5. რექტორის ბრძანებით დადებითი რეკომენდაციის მქონე კანდიდატებთან უნივერსიტეტი დებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ.

**მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება**

1. დოქტორანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

2. დოქტორანტს, რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ/აკადემიურ რეგისტრაციას, უჩერდება დოქტორანტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას, არ ეთვლება შესაბამისი სემესტრი გავლილად.
3. დოქტორანტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძვლები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შესაბამისი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 9. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა**

1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუწყდეს:
ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
ბ) დოქტორანტის მიერ სასწავლო ან კვლევითი გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში;
გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი, წინამდებარე დებულებით დადგენილ პერიოდში, ვერ შეძლებს სწავლისა და კვლევის პროცესის დასრულებას;
დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის ორჯერ მოსმენისა და კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში.
2. დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის უფლება აქვთ სადოქტორო სკოლის ან სამეცნიერო ხელმძღვანელს.
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დოქტორანტის სტატუსი პირს შეუწყდება რექტორის აქტით, თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სადისერტაციო საბჭოს დამსწრე წევრთა სულ ცოტა 2/3 მაინც.
4. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შესაბამისი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

## თავი III. სადოქტორო პროგრამა

**მუხლი 10. სადოქტორო პროგრამა და მისი მოცულობა**

1. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეიძლება შეადგენდეს 45-60 კრედიტს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არ იანგარიშება კრედიტებით.
2. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 6 და არაუმეტეს 10 აქტიური სემესტრისა.
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს.
4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლისა და კვლევის პროცესი, სადისერტაციო საბჭოს

მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.
5. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.
6. დოქტორანტი, რომელიც შეასრულებს კვლევით კომპონენტს, სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების სრულად შესრულების შემდეგ, დისერტაციას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს. დისერტაციის დაცვა წარმოებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით. დისერტაციის წარდგენა შესაძლებელია არაუადრეს მე-6 სემესტრისა.

## მუხლი 11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება.
2. დოქტორანტურის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია).
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:
ა) მინიმუმ სამი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) აკადემიურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings), რომელთაგან მინიმუმ ერთი აუცილებლად ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ხოლო მინიმუმ კიდევ ერთი ERIH PLUS-ის ბაზაში. სამიდან ორი სტატია მაინც უნდა გამოქვეყნდეს უცხოენოვან ჟურნალში/გამოცემაში უცხოურ ენაზე. ქართულენოვანი სტატიის შემთხვევაში, იგი უნდა გამოქვეყნდეს ERIH PLUS-ის ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში.
ბ) მინიმუმ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას (პირადად ინდივიდუალური მოხსენების წარდგენას უცხო ენაზე).
4. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას დოქტორანტი სამჯერ ამზადებს დისერტაციის ნაწილს - კოლოკვიუმს (სადოქტორო ნაშრომის სტანდარტის გათვალისწინებით, 30-35 გვერდის ფარგლებში), რომელსაც საჯაროდ განიხილავს სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედიან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე გასატანად აუცილებელია სამივე კოლოკვიუმზე სადისერტაციო კოლეგიის დადებითი რეკომენდაცია. თითოეული კოლოკვიუმი მზადდება ერთი სემესტრის განმავლობაში. დაუშვებელია ერთზე მეტი კოლოკვიუმის მომზადება და განხილვა ერთი სემესტრის განმავლობაში. თითოეული კოლოკვიუმის

განხილვის შედეგად შესაბამისი სადისერტაციო კომისია აფასებს კოლოკვიუმს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: 1. დადებითი რეკომენდაცია - დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევა ჩაითვალა შესრულებულად, კოლოკვიუმში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება კვლევის მიზნებსა და მეთოდოლოგიას, საკვლევ თემატიკას, დოქტორანტმა დაამუშავა დისერტაციის ნაწილთან დაკავშირებული წყაროები, გააანალიზა ისინი და წერილობითად ასახა ისინი. დადებითი რეკომენდაცია შეიძლება გაიცეს კოლოკვიუმთან დაკავშირებული რჩევებისა და წინადადების შეთავაზებით, ან 2. უარყოფითი რეკომენდაცია - დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევა არ ჩაითვალა შესრულებულად, დოქტორანტმა არ წარმოადგინა დისერტაციის ნაწილი, ან წარმოადგინა სტანდარტის დარღვევით, წყაროთა ზედაპირული მიმოხილვით, ნაშრომის შინაარსი მეტწილად არ შეესაბამება კვლევის მიზნებსა და მეთოდოლოგიას, აქვს მნიშვნელოვანი შინაარსობრივი პრობლემები. სადოქტორო კოლოკვიუმი კომისიას წარედგინება სემესტრულად, არაუგვიანეს მე-13 კვირისა.

5. საქართველოში გამოცემული რეფერირებადი/რეცენზირებადი მქონე ჟურნალების, ან რეფერირებადი/რეცენზირებადი ელექტრონული და/ან ბეჭდური ჟურნალების ჩამონათვალს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

6. დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

ა) დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი ან გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად და წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა;

ბ) ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

8. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დამატებით განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამითა და სილაბუსით.

## თავი IV. სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის ხელმძღვანელი

### მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს სადოქტორო პროგრამას და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

### მუხლი 13. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგობრივი სადისერტაციო კოლეგიის წევრი.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქვს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება/კვალიფიკაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები).

3. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებულ უცხოურ ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში და სხვა.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტს უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის მითითებებისა და რეკომენდაციების მიცემას და კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას. დოქტორანტი წარუდგენს მას პერიოდულ ანგარიშებს.

6. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დოქტორანტის სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს. სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება დაკმაყოფილდება დოქტორანტისათვის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნისთანავე.

7. ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია ჰყავდეს რეგისტრირებული აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტი. იმ შემთხვევაში, თუ სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელს შესაძლოა ჰყავდეს 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე.

8. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი დოქტორანტების ხელმძღვანელებს სთავაზობს შესაბამის ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებს.

9. დოქტორანტის ხელმძღვანელობა ანაზღაურებადია. ანაზღაურების ოდენობა და წესი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

**მუხლი 14. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა დოქტორანტის მოთხოვნით**

1. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნით, სემესტრის დაწყებამდე შეიძლება შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი, აგრეთვე, ხელმძღვანელის ასეთივე მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში ახალი ხელმძღვანელის თანხმობისას სადისერტაციო თემა შეიძლება არ შეიცვალოს.
3. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაზუსტდეს სადისერტაციო თემა. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა შეცვლილ თემაზე სამი კოლოკვიუმის დაცვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების პირობით. აღნიშნულ შემთხვევებში სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლისას გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

## თავი V. სადისერტაციო საქმის წარმოება

**მუხლი 15. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

1. დოქტორანტის საჭიროებებიდან გამომდინარე, მისი განცხადების საფუძველზე, სადოქტორო პროგრამისა და სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელების შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. (დანართი 1.3).
2. დოქტორანტის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიცვალოს და მოერგოს შეცვლილ გარემოებებს.

**მუხლი 16. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა**

1. დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას (დანართი 1.4.) და მას წარმოადგენს პირველ სადოქტორო კოლოკვიუმთან ერთად.
2. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკი და კვლევის მეთოდოლოგია.

**მუხლი 17. სამეცნიერო ხელმძღვანელის ანგარიში დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების თაობაზე**

1. დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებისას, ყოველი აქტიური სემესტრის

დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს ანგარიშს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების თაობაზე (დანართი 1.5).
2. ანგარიში წარედგინება სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს და ეცნობება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესა და პროგრამის ხელმძღვანელს.

## თავი VI. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

### მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომი

1. სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.
2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო.
3. დისერტაციის უცხოურ ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
4. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა, როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ 120 და არაუმეტეს 200 გვერდისა. გვერდების რაოდენობაში ითვლება ყველა აკინძული გვერდი.
5. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური პარამეტრებია: ფორმატი - A4, მინდვრები - 2 სმ ყველა მიმართულებით, ხოლო მარცხნივ - 2,5 სმ, აბზაცი - 0,5 სმ, აბზაცებს შორის ინტერვალი - 0, ხაზებს შორის ინტერვალი - 1.15 სმ, შრიფტი - Sylfaen (UTF8) - შესაბამისად, ქართული და უცხოენოვანი ტექსტისთვის, ზომა - 11 (სქოლიოსთვის - იგივე, შრიფტის ზომა - 9, ინტერვალი - 1.0).
6. სადისერტაციო ნაშრომი სტრუქტურულად უნდა შედგებოდეს ნაწილებისგან, რომელთა ნუმერაციაც ხდება რომაული ციფრებით (I, II და ა.შ.). ინომრება შესავალი და დასკვნაც. ნაწილებს შიგნით ქვეთავები ინომრება არაბული ციფრებითა და რიცხვებით, უწყვეტი თანმიმდევრობით. თითოეული ახალი ნაწილის დაწყებისას ქვეთავების ნუმერაცია იწყება თავიდან. თითოეული ახალი ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან. ნაწილებსა და ქვეთავებს შორის სივრცე არ უნდა დარჩეს. ქვეთავი ძირითადი ტექსტისგან ერთი ინტერვალით უნდა იქნეს დაშორებული.
7. სადისერტაციო ნაშრომი უნდა დაინომროს უწყვეტი ნუმერაციით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე, დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 9. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). გვერდის ნომერი დაისმის ფურცლის მარჯვენა დაბალ კუთხეში.
8. სადისერტაციო ნაშრომის სატიტულო გვერდი უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის გვარს, სახელს, აკადემიურ თანამდებობას/ხარისხ და ტექსტს – „წარდგენილია [შესაბამისი დარგის] დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, „თბილისი, 0186, საქართველო“. მასზე ასევე

უნდა განთავსდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა, სახელი და გვარი, ასევე, თვე და წელი, როდესაც სადოქტორო სკოლას წარედგინა დისერტაცია. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.

9. სადისერტაციო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი ii) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით [სახელი, გვარი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას [დარგის] დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული ხელმძღვანელისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.

10. სადისერტაციო ნაშრომის საავტორო უფლების გვერდი (გვერდი iii) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“, სადისერტაციო საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, მიმართულების დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს - „ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით ასლის გადაღებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას და დამოწმებულია შესაბამისი წყაროთი) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას“.

11. სადისერტაციო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოსდევდეს საავტორო უფლების გვერდს და უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე. თუ დისერტაცია სხვა ენაზეა შესრულებული, მაშინ მას უნდა დაერთოს ამ ენაზე შესრულებული რეზიუმეც.

12. სადისერტაციო ნაშრომის სარჩევი უნდა მოსდევდეს რეზიუმეს და აკმაყოფილებდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტის ტექნიკურ პარამეტრებს. იგი უნდა შესრულდეს ელექტრონული პროგრამის გამოყენებით, ავტომატური მითითებისა და განახლების წესით.

13. სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ტექსტს მოსდევს გამოყენებული ლიტერატურა. გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული წყაროები უნდა დალაგდეს თემატურად (სამეცნიერო ლიტერატურა, კანონმდებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებები, ელექტრონული წყაროები და ა.შ.) თემატურად დალაგებულ თითოეულ ნაკვეთში წყაროები უნდა დალაგდეს მათი შესრულების ენის მიხედვით, ხოლო შემდეგ - ანბანურად. აქტებისა და გადაწყვეტილებების გამოყენების შემთხვევაში, ისინი ლაგდება მათი მოქმედების ძალის მიხედვით.
14. სადისერტაციო ნაშრომს შესაძლოა დაერთოს ცხრილები, ნახაზები, სურათები. ისინი დანართის სახით თავსდება ბიბლიოგრაფიის შემდეგ და აღინიშნება სარჩევში.
15. სადისერტაციო ნაშრომში წყაროთა დამოწმება ხდება კიდური აღნიშვნის (სქოლიო) გამოყენებით, ძირითად ტექსტს მიღმა, იმავე ფურცლის ქვედა კუთხეში. ციტირებისა და წყაროთა დამოწმებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი:
ა) სტატია: გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სრული სათაური, ჟურნალის სრული დასახელება, ნომერი (ტომი), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N2, 2017, 186.).
ბ) წიგნი:
ბ.ა) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სრული სათაური, გამოცემის ადგილი (ადგილის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - გამომცემლობა), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ., მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000, 68.).
ბ.ბ) სტატიათა კრებულის შემთხვევაში - გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური, წიგნის სრული სათაური, რედაქტორი, გამოცემის ადგილი (ადგილის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - გამომცემლობა), წელი, გვერდი (წელი და გვერდი მიეთითება მხოლოდ ციფრებით, „წ.“ და „გვ.“-ის გარეშე). (მაგ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს ნორმატიული მოწესრიგების ანატომია, წიგნში: კონსტიტუციონალიზმის 800 წელი, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 214.)
ბ.გ) წმინდა წერილის წიგნებიდან ციტირებისას, ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება წერტილით გამოყოფილი წიგნის შემოკლებული სახელი და შემდეგ მიეთითება მძიმით გაყოფილი თავის და მუხლების ნომრები. მაგ.: (მთ. 3, 15) ან (გალ. 4, 5).
გ) ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ-გვერდის დასახელება სამკუთხა ფრჩხილებში, უკანასკნელად გადამოწმების თარიღი – რიცხვი, თვე, წელი, მიეთითება ციფრებითა და რიცხვებით ოთხკუთხა ფრჩხილებში (მაგ., <washingtonpost.com/news> [12.10.2020].)

**მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა**

1. დოქტორანტი სადოქტორო სკოლას წარუდგენს დისერტაციის ხუთ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადოქტორო სკოლას უნდა წარუდგინოს:
ა) განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ) ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ;
გ) მისი ავტორობით ან თანაავტორობით შესრულებული და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი;
დ) სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები;
ე) ინგლისურ ენაზე შესრულებული ძირითადი მიგნებები (20-25 გვერდის ფარგლებში, შესრულებული დისერტაციისთვის დადგენილი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას ნაშრომის ძირითადი მიზნების, კვლევის საგნის, აქტუალობის, კვლევის მეთოდოლოგიის, გამოყენებული წყაროების, ძირითადი თეზისებისა და დასკვნების შესახებ) და სტრუქტურა, თანდართული ბიბლიოგრაფიით.
3. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციას, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
4. სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.
5. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისაგან სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.
6. სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს განსახილველად გადაეცემა სემესტრის დასრულებამდე.
7. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, სადოქტორო სკოლა სამი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას, ატარებს ნაშრომს ანტიპლაგიატის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში. დოკუმენტების წესრიგში ყოფნისა და ანტიპლაგიატის პროგრამის დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი რეცენზენტების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ნაშრომს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

**მუხლი 20. დისერტაციის წინასწარი რეცენზირება**

1. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს ორ ადგილობრივ (რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს დარგობრივ სადისერტაციო კოლეგიაში არშემავალი პირი) და ერთ საერთაშორისო რეცენზენტს (ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, ხოლო საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის

მქონე პირი). საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი.

2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის ბაზებში ინდექსირებულ უცხოურ ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

3. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი;

ბ) დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;

გ) დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;

დ) დისერტანტის ნათესავი, პარტნიორი ან სხვა მხრივ დამოკიდებული ან დაინტერესებული პირი.

4. სადოქტორო სკოლა რეცენზენტების დანიშვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას რეცენზენტებისათვის (საერთაშორისო რეცენზენტს მიეწოდება დისერტაციის ძირითადი მიგნებები ინგლისურ ენაზე). რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობა კონფიდენციალურია.

5. რეცენზენტი სადისერტაციო საბჭოს დასკვნას წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო დანიშნავს მესამე რეცენზენტს.

7. რეცენზენტის დასკვნაში უნდა აისახოს:

ა) სადოქტორო თემის აქტუალურობა;

ბ) კვლევის მეცნიერული დონე;

გ) გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);

დ) მიღებული შედეგების სანდოობა;

ე) დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.

8. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;

ბ) დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ.

9. თუ ორიდან ერთი რეცენზენტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დანიშნავს მესამე რეცენზენტს.

10. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

11. დისერტაციის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება, სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.
12. სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი.
13. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის რეცენზირებისათვის ნიშნავს ახალ რეცენზენტებს.
14. თუ რეცენზენტების ნახევარზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
15. სადოქტორო სკოლის სამდივნომ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს რეცენზენტთა გადაწყვეტილებები. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს რეცენზენტთა დასკვნებს.
16. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადოქტორო სკოლის არქივს.

**მუხლი 21. დისერტაციის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან მინიმუმ 30 კალენდარული დღის შემდეგ. აღნიშნული ვადის შემცირება დასაშვებია მხოლოდ დოქტორანტის წინასწარი თანხმობით.
3. დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის.
4. სადოქტორო სკოლამ დოქტორანტს უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვის დანიშვნის შესახებ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი, დრო, ადგილი, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა, დაცვის მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე.
5. სადოქტორო სკოლის სამდივნო წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ავრცელებს ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ, აგრეთვე, უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე (დაფებზე).

**მუხლი 22. სადისერტაციო კომისია**

1. სადისერტაციო კომისია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის.
2. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს სადისერტაციო თემის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 5 წევრისაგან, რომელსაც სადისერტაციო საბჭო ადგენს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოდან. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს მინიმუმ 1 დარგის სპეციალისტი დოქტორი, დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის მიღმა. რეცენზენტები, როგორც წესი, ასევე, შედიან კომისიის შემადგენლობაში. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში არ შედის.
3. სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი, აგრეთვე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი.
4. სადისერტაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:
ა) დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
ბ) დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;
გ) დისერტანტის ნათესავი, პარტნიორი ან სხვა მხრივ დამოკიდებული ან დაინტერესებული პირი.
5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს დოქტორანტის რეცენზენტი.
6. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

**მუხლი 23. სადისერტაციო კომისიის სხდომა**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.
3. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4 და მეტი.
4. თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
5. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კომისიის სხდომას, კომისიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
6. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კომისიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა

დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს დაცვის ახალ თარიღს იმავე სემესტრში.
7. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.
8. სადისერტაციო კომისიის სხდომა და დისერტაციის დაცვის პროცედურა აისახება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 24. დისერტაციის დაცვა**

1. კომისიის სხდომაზე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.
3. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
4. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო მასალა და ა.შ.
5. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს. დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე კომისიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
6. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
7. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე.
8. დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და საბოლოო შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი, რასაც ხელს აწერს კოლეგიის დამსწრე ყველა წევრი. ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისია.

**მუხლი 25. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება**

1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება ერთჯერადად, კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს შედეგის მიღწევის დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ მდივანს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეეფარდება ლათინური შეფასება.
4. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.
5. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91 ქულა და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა.
6. დისერტაციის  უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – 41- 50 ქულა;
ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.
7. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად.
8. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.
9. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და უწყდება დოქტორანტის სტატუსი.
10. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს, გაეცნოს სადისერტაციო კომისიის საბოლოო წერილობით გადაწყვეტილებას და გაასაჩივროს ის სადისერტაციო საბჭოში. საჩივარს განიხილავს სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელშიც შედის სადისერტაციო საბჭოს ყველა დარგის ექსპერტი წევრი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. კომისიის დასკვნის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) მოთხოვნის დაკმაყოფილების, შესაბამისად, ახალი სადისერტაციო კომისიისა და ახალი რეცენზენტების დანიშვნის თაობაზე;
ბ) მოთხოვნაზე უარის შესახებ.

საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დისერტაციის დაცვა დაინიშნება ხელახლა ამ დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
11. სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში სადოქტორო სკოლის სამდივნო დისერტაციის ერთ ეგზემპლარს გადასცემს ეროვნულ ბიბლიოთეკას, ხოლო ერთ ეგზემპლარს - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

**მუხლი 26. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება**

1. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირს სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც დადასტურებული იქნება მისთვის დოქტორის დიპლომის გაცემით.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის რექტორი.

**მუხლი 27. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა**

1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატის და აკადემიური პატიოსნების სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
2. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭო ვალდებულია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

**მუხლი 28. სადისერტაციო საქმის არქივი**

1. დისერტაციის დაცვის შემდეგ სადოქტორო სკოლის არქივში რჩება სადისერტაციო საქმე, რომელშიც შედის:
ა) დოქტორანტის განცხადება, დადასტურებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ;
გ) დისერტაციის ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
დ) დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე მათი სია;
ე) სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები და ნუსხა;
ვ) სასწავლო კომპონენტის შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
ზ) რეცენზენტების დასკვნები;
თ) სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმი;

ი) წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების ასლი დოქტორის დიპლომის გაცემის შესახებ.
2. აკინძული დოკუმენტაცია საბჭოში ინახება ოთხი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

## თავი VII. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

### მუხლი 29. საპატიო დოქტორის წოდება

1. განსაზღვრულ სფეროში განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურების მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება.
2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, იღებს სადისერტაციო საბჭო.

## თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

### მუხლი 30. დოქტორანტურის დებულების მოქმედება

იმ შემთხვევებზე, რომლებიც დოქტორანტურის დებულებაში არაა გათვალისწინებული ან სხვაგვარად არაა მოწესრიგებული, ვრცელდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.

**დანართი 1.1.**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
რექტორს,

_____

თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3

განმცხადებლის სახელი, გვარი
მისამართი:
ტელ:
ელ.ფოსტა:

**განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ**

_____,

გთხოვთ ჩამრიცხოთ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლაში ---------- სადოქტორო პროგრამაზე.

ჩემ მიერ შერჩეული სადისერტაციო თემაა:
_____

(თემის სახელწოდება)

თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობა განაცხადა სადისერტაციო საბჭოს წევრმა, პროფესორმა/ასოცირებულმა პროფესორმა/ასისტენტ-პროფესორმა/მოწვეულმა ლექტორმა, _____.

ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ ჩარიცხვის წინაპირობებს.

პატივისცემით,

ხელმოწერა, თარიღი

დანართები:

- კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ), „CV“;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ) და მისი ელექტრონული ვერსია;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისთვის);
- უცხო ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, ირიცხება თუ არა პირი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში;
- დოქტორანტობის კანდიდატის მიერ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის რეკომენდაცია (შუამდგომლობა) და სადისერტაციო თემის საკუთარი ხედვა (კვლევის პროექტი), რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის საგნის აქტუალურობისა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას, ასევე, ნაშრომის სავარაუდო სათაურს, მიახლოებით სტრუქტურასა და საორიენტაციო ბიბლიოგრაფიას;
- 2 სარეკომენდაციო წერილი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს აკადემიური, ხოლო მეორე - სამსახურებრივი
- ცნობა სამუშაო ადგილისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ.

დანართი 1.2.

## დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები

## დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების ფორმა

| შეფასების კრიტერიუმები | | დოქტორანტობის კანდიდატი |
|---|---|---|
| | | |
| დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (10 ქულა) | | |
| კანდიდატის აკადემიური გამოცდილება (10 ქულა) | | |
| კვლევის პროექტი (50 ქულა) | საკვლევი თემის აქტუალობა და დისერტაბელურობა (15 ქულა) | |
| | საკვლევი თემის პრობლემა (15 ქულა) | |
| | საკვლევი თემის სტრუქტურა (10 ქულა) | |
| | საკვლევი თემის წყაროების მრავალფეროვნება (10 ქულა) | |
| კანდიდატის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოჩენის უნარი (10 ქულა) | | |
| კანდიდატის მოტივაცია (10 ქულა) | | |
| კანდიდატის მსჯელობის დამაჯერებლობა (10 ქულა) | | |
| ჯამური შეფასება | | |

კომისიის წევრის სახელი და გვარი

ხელმოწერა

თარიღი

# დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები

| დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (10 ქულა) | |
|---|---|
| ქულა | დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები |
| 10 | დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილადაა წარმოდგენილი, სრულად შეესაბამება დოქტორანტურის დებულებით დადგენილ ჩამონათვალს. ყველა დოკუმენტი ტექნიკურად და შინაარსობრივად გამართულია. |
| 7-9 | დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილადაა წარმოდგენილი, სრულად შეესაბამება დოქტორანტურის დებულებით დადგენილ ჩამონათვალს. ყველა დოკუმენტი მეტწილად ტექნიკურად გამართულია, თუმცა არაა შინაარსობრივად სრულად აღქმადი. |
| 4-6 | დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილია, თუმცა ზედაპირულია, შინაარსობრივად არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას და ვერ დგინდება შესაბამისობა დებულებით დადგენილ სტანდარტთან. |
| 1-3 | დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მწირ ინფორმაციას შეიცავს, ძირითადი შინაარსის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, დოკუმენტაცია ვერ იძლევა პირის კომპეტენციური იდენტიფიცირების შესაძლებლობას. |
| 0 | დოკუმენტაცია არასრულადაა წარმოდგენილი, არ ერთვის კვლევის პროექტი. |
| **კანდიდატის აკადემიური გამოცდილება (10 ქულა)** | |
| ქულა | კანდიდატის აკადემიური გამოცდილების შეფასების კრიტერიუმები |
| 10 | დოქტორანტობის კანდიდატის აკადემიური გამოცდილება შესანიშნავია, წარმოდგენილი საბუთებითა და გასაუბრებით მტკიცდება მისი მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით/განმავითარებელ ღონისძიებებში, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კვლევითი ნაშრომი. |
| 7-9 | დოქტორანტობის კანდიდატის აკადემიური გამოცდილება კარგია, წარმოდგენილი საბუთებით და გასაუბრებით მტკიცდება მისი მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ან განმავითარებელ ღონისძიებებში, გამოქვეყნებული აქვს კვლევითი ნაშრომი. |
| 4-6 | დოქტორანტობის კანდიდატის აკადემიური გამოცდილება დამაკმაყოფილებელია, წარმოდგენილი საბუთებით და გასაუბრებით მტკიცდება მისი მონაწილეობა ადგილობრივ კვლევით ან განმავითარებელ ღონისძიებებში, კვლევითი ნაშრომები არა აქვს გამოქვეყნებული. |
| 1-3 | დოქტორანტობის კანდიდატის აკადემიური გამოცდილება მწირია და იგი მხოლოდ რამდენიმე განმავითარებელ ღონისძიებაში მონაწილეობით შემოიფარგლება. |
| 0 | დოქტორანტს აკადემიური გამოცდილება არ გააჩნია. |
| **კვლევის პროექტი (50 ქულა)<br>საკვლევი თემის აქტუალობა და დისერტაბელურობა (15 ქულა), საკვლევი თემის პრობლემა (15 ქულა), საკვლევი თემის სტრუქტურა (10 ქულა), საკვლევი თემის წყაროების მრავალფეროვნება (10 ქულა)** | |
| ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა და დისერტაბელურობა შეფასების კრიტერიუმები |
| 15 | საკვლევი თემა აქტუალურია როგორც ქართული, ისე შედარებითი და საერთაშორისო სამეცნიერო პარამეტრით, შერჩეული საკითხი დისერტაბელურია და შესაძლებელია მისი ამოწურვა დოქტორანტურის ვადებსა და ფარგლებში. |
| 12-14 | საკვლევი თემა აქტუალურია როგორც ქართული, ისე შედარებითი და საერთაშორისო სამეცნიერო პარამეტრით, შერჩეული საკითხი დისერტაბელურია და შესაძლებელია მისი ამოწურვა დოქტორანტურის ვადებსა და ფარგლებში მცირე შესწორების შეტანის შემდეგ. |

| | |
|---|---|
| 8-11 | საკვლევი თემა მეტ-ნაკლებად აქტუალურია და შესაძლებელია მასზე დისერტაციის დაცვა, თუმცა საკითხი ფართოა და აუცილებელია დავიწროება, რათა შესაძლებელი იყოს მისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესრულება. |
| 4-7 | საკვლევი თემა აქტუალურია, თუმცა არაა დისერტაბელური, საჭიროებს დაზუსტებასა და მიმართულებით დავიწროებას, რათა შესაძლებელი იყოს მისი ტექნიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით შესრულება. |
| 1-3 | საკვლევი თემა ნაკლებად აქტუალურია და იმდენად განზოგადებულია, რომ შეუძლებელია მასზე დისერტაციის შესრულება. |
| 0 | საკვლევი თემა არაა აქტუალური და დისერტაბელური. |
| ქულა | საკვლევი თემის პრობლემის შეფასების კრიტერიუმები |
| 15 | საკვლევი თემა სწორადაა განსაზღვრული, პრობლემა მართებულადაა იდენტიფიცირებული, კონკრეტულია და არა აბსტრაქტული, შესაძლებელია პრობლემის ანალიზი და ამის შედეგად მისი გადაწყვეტის კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი გზების შემუშავება. |
| 12-14 | საკვლევი თემა მეტწილად სწორადაა განსაზღვრული, პრობლემა მართებულადაა იდენტიფიცირებული, მეტწილად კონკრეტულია, შესაძლებელია პრობლემის ანალიზი და ამის შედეგად მისი გადაწყვეტის კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი გზების შემუშავება. |
| 8-11 | საკვლევი თემა ნაწილობრივ სწორადაა განსაზღვრული, პრობლემა მართებულადაა იდენტიფიცირებული, თუმცა არაა კონკრეტული და საჭიროებს დაზუსტებას, რის შემდეგაც შესაძლებელია პრობლემის ანალიზი და მისი გადაწყვეტის კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი გზების შემუშავება. |
| 4-7 | საკვლევი თემის პრობლემა განსაზღვრულია, თუმცა ზედმეტად აბსტრაქტულია, შესაძლებელია მისი დავიწროება, მისი გაანალიზებისა და გადაწყვეტის გზების შემუშავების მიზნით. |
| 1-3 | საკვლევი თემის პრობლემა არაა განსაზღვრული, ზედმეტად აბსტრაქტულია და საჭიროებს დაკონკრეტებას. |
| 0 | საკვლევი თემის პრობლემა არასწორადაა შერჩეული. |
| ქულა | საკვლევი თემის სტრუქტურის შეფასების კრიტერიუმები |
| 10 | საკვლევი თემის სტრუქტურა რეალისტურია, შეესაბამება საკვლევი თემატიკის მოცულობას, რაციონალურადაა გადანაწილებული საკვლევი საკითხები, ორიენტირებულია საკითხის სრულად ამოწურვასა და ანალიზზე, არ მოიცავს ურთიერთგადამფარავ სტრუქტურულ ერთეულებს. |
| 7-9 | საკვლევი თემის სტრუქტურა მეტ-ნაკლებად რეალისტურია, შეესაბამება საკვლევი თემატიკის მოცულობას, რაციონალურადაა გადანაწილებული საკვლევი საკითხები, ორიენტირებულია საკითხის სრულად ამოწურვასა და ანალიზზე, თუმცა მოიცავს რამდენიმე ურთიერთგადამფარავ სტრუქტურულ ერთეულს. |
| 4-6 | საკვლევი თემის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევი თემატიკის მოცულობას, თუმცა არარაციონალურადაა გადანაწილებული საკვლევი საკითხები, მრავლადაა ურთიერთგადამფარავი სტრუქტურული ერთეულები. |
| 1-3 | საკვლევი თემის სტრუქტურა ძალზე ზედაპირულია, ვერ იძლევა საჭირო ინფორმაციას მისი საკვლევი საკითხების ჩაშლისა და შესაძლო ანალიზის თაობაზე. |
| 0 | საკვლევი თემის სტრუქტურა არაა ჩაშლილი. |
| ქულა | საკვლევი თემის წყაროების მრავალფეროვნების შემოწმების კრიტერიუმები |
| 10 | პროექტის მოცულობის გათვალისწინებით, სრულყოფილადაა წარმოდგენილი ქართული და უცხოენოვანი მასალა, მოძიებულია მრავალფეროვანი სასამართლო პრაქტიკა, მოცემულია სამართლებრივი აქტები, ელექტრონული წყაროები და სხვა ტიპის მასალა, თემის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. |
| 7-9 | პროექტის მოცულობის გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ქართული და უცხოენოვანი მასალა, არ არის სათანადოდ მოძიებული სასამართლო პრაქტიკა, მოცემულია სამართლებრივი აქტების მწირი რაოდენობა, ელექტრონული წყაროები და სხვა ტიპის მასალა |

| | |
|---|---|
| | დარღვევებითაა წარმოდგენილი. |
| 4-6 | პროექტის მოცულობის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი აქტების მწირი რაოდენობა, სხვა ტიპის მასალები თითქმის არაა მოცემული. |
| 1-3 | პროექტის მოცულობის გათვალისწინებით, ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია რამდენიმე სხვადასხვა ტიპის წყარო, ტექნიკური პარამეტრები ნაწილობრივ დარღვეულია. |
| 0 | პროექტის მოცულობის გათვალისწინებით, ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ რამდენიმე წყაროა წარმოდგენილი და ტექნიკური მახასიათებლები არაა დაცული. |
| **კანდიდატის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოჩენის უნარი (10 ქულა)** | |
| **ქულა** | **კანდიდატის მიერ საკუთარი პოზიციის წარმოჩენის უნარის შეფასების კრიტერიუმები** |
| 10 | დოქტორანტობის კანდიდატმა სრულყოფილად წარმოაჩინა საკუთარი პოზიცია და იდეები, იმსჯელა კვლევის პროექტში მოცემული შეხედულებების, მოსაზრებების თაობაზე, სწორად გაანაწილა დრო, ზოგადი ხასიათის ინფორმაციის ნაცვლად, გადმოსცა უშუალოდ მისი, ინდივიდუალური შეფასებები დამაჯერებლად, ლოგიკური არგუმენტაციითა და ინფორმაციის ლოგიკურად დაჯგუფების საშუალებით. |
| 7-9 | დოქტორანტობის კანდიდატმა მეტწილად კარგად წარმოაჩინა საკუთარი იდეები და შეძლო საკუთარი პოზიციის დაცვა, ძირითადად გადმოსცა საკუთარი შეხედულებები, თუმცა მცირედ ისაუბრა კვლევის პროექტში მოცემულ ზოგად იდეებზეც. ინდივიდუალური შეფასებები მეტწილად ლოგიკურად დაასაბუთა და დააჯგუფა. |
| 4-6 | დოქტორანტობის კანდიდატმა ნაწილობრივ წარმოაჩინა საკუთარი იდეები და შეეცადა, საკუთარი პოზიციები დაეცვა. ძირითადად კვლევითი პროექტის ზოგადი შინაარსი გადმოსცა, ნაცვლად უშუალოდ საკუთარი, ინდივიდუალური შეფასებებისა. |
| 1-3 | დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოჩენილი საკუთარი პოზიციები ზედაპირული, არასაკმარისი და არადამაჯერებელია. |
| 0 | დოქტორანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და დაცვა. |
| **კანდიდატის მოტივაცია (10 ქულა)** | |
| **ქულა** | **კანდიდატის მოტივაციის შეფასების კრიტერიუმები** |
| 10 | დოქტორანტობის კანდიდატი მოტივირებულია, გაცნობიერებული აქვს სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობა და დისერტაციაზე მუშაობის სპეციფიკა, იცნობს პროგრამის ნიუანსებს, მიზანდასახულია და სრულად იაზრებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პასუხისმგებლობას. |
| 7-9 | დოქტორანტობის კანდიდატი მოტივირებულია, მეტწილად გაცნობიერებული აქვს სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობა და დისერტაციაზე მუშაობის სპეციფიკა, იცნობს პროგრამის ნიუანსებს, მიზანდასახულია და მეტწილად იაზრებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პასუხისმგებლობას. |
| 4-6 | დოქტორანტობის კანდიდატი საკმარისად მოტივირებულია, ნაწილობრივ გაცნობიერებული აქვს სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობა და დისერტაციაზე მუშაობის სპეციფიკა, იცნობს პროგრამის ნიუანსებს, მიზანდასახულია და ცდილობს, გაიაზროს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პასუხისმგებლობა. |
| 1-3 | დოქტორანტობის კანდიდატი ნაკლებად მოტივირებულია და ბოლომდე ვერ აცნობიერებს სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობასა და დისერტაციაზე მუშაობის სპეციფიკას, არ იცნობს პროგრამის ნიუანსებს. |
| 0 | დოქტორანტობის კანდიდატი არაა მოტივირებული. |
| **კანდიდატის მსჯელობის დამაჯერებლობა (10 ქულა)** | |
| **ქულა** | **კანდიდატის მსჯელობის დამაჯერებლობის შეფასების კრიტერიუმები** |
| 10 | დოქტორანტმა დისკუსიისას საკუთარი პოზიცია დამაჯერებლად წარმოაჩინა, ლოგიკურ თანმიმდევრობაზე დააფუძნა საკუთარი პოზიციები, სიღრმისეულად გააანალიზა და მიმოხილა წამოჭრილი საკითხები, ზედმიწევნითი სიზუსტით დაასაბუთა პასუხები. |

| | |
|---|---|
| 7-9 | დოქტორანტმა დისკუსიისას საკუთარი პოზიცია მეტწილად დამაჯერებლად წარმოაჩინა, ლოგიკურ თანმიმდევრობაზე დააფუძნა საკუთარი პოზიციების უმრავლესობა, გააანალიზა და მიმოხილა წამოჭრილი საკითხები, დაასაბუთა პასუხები. |
| 4-6 | დოქტორანტმა საკუთარი პოზიცია ნაწილობრივ დამაჯერებლად წარმოაჩინა, შეეცადა ლოგიკურ თანმიმდევრობაზე დაეფუძნებინა საკუთარი პოზიციების ნაწილი, თუმცა სიღრმისეულად ვერ გააანალიზა საკითხები და ბოლომდე დამაჯერებელი პასუხები არ ჰქონია. |
| 2-3 | დოქტორატმა საკუთარი პოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოაჩინა დამაჯერებლად, მსჯელობასა და ანალიზს დასაბუთება და ლოგიკური თანმიმდევრობა მეტწილად აკლდა, პასუხების უმრავლესობა დაუსაბუთებელი იყო. |
| 1 | დოქტორანტმა ზედაპირულად და არადამაჯერებლად დაიცვა პოზიცია, მსჯელობა არათანმიმდევრული და ალოგიკური იყო. |
| 0 | დოქტორანტმა ვერ წარმოაჩინა საკუთარი პოზიცია დისკუსიისას, ფაქტობრივად არ უმსჯელია. |

**დანართი 1.3.**

## დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი:

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი:

| სასწავლო კომპონენტი | ECTS კრედიტი | შეფასება |
|---|---|---|
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |
| | ___ ECTS | |

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი: _____

**დანართი 1.4.**

**დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა**

| | |
|---|---|
| დოქტორანტის სახელი და გვარი: | |
| დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: | |
| სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: | |
| კვლევის მიზანი: | |
| სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა: | |
| სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი: | |
| კვლევის მეთოდოლოგია: | |

დოქტორანტის ხელმოწერა:

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი 1.5.

# სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

## სამეცნიერო ხელმძღვანელის ანგარიში
## დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების თაობაზე

| | |
|---|---|
| სადოქტორო პროგრამა | |
| დოქტორანტის სახელი, გვარი: | |
| სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი: | |
| შესაფასებელი პერიოდი | |
| შეფასების თარიღი | |

დოქტორანტის მიერ შესრულებულ სემესტრულ სამუშაოს მივიჩნევ:

- სრულყოფილად
- სრულიად დამაკმაყოფილებლად
- დამაკმაყოფილებლად
- არადამაკმაყოფილებლად
- სრულიად არადამაკმაყოფილებლად

კომენტარი:

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ---------- (ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი: ---------- (ხელმოწერა)

(თარიღი)